


პროფესიონალური რიმა ბერიაშვილი

ცოდნის შეფასება და ტესტური გამოცდა.
ტესტის დიზაინი და მისი შედგენის წასები

შეფასების მთოლელობის ზოგადი მიმოხილვა

საღლეისოდ, ცოდნის შესაფასებლად მრავალი თანამედროვე მეთოდი გამოიყენება. მათი გამოყენება ხდება ერთმანეთის ჩანაცვლებით ან კომპლექსურად, იმის მიხედვით, თუ რომელი მაჩვენებლის შეფასებაა უფრო მნიშვნელოვანი. სამედიცინო განათლების პროცესში პირობითად სწავლების და კომპეტენციების შეძენის 4 თანმიმდევრულ ეტაპს გამოყოფენ:



გილერის კომპეტენციების პირამიდა

სწავლების დასახელებულ ეტაპზე თანმიმდევრობით ან კომპლექსურად, შედეგზე ორიენტირებული კონკრეტული მიზნის მისაღწევად მოწმდება შემდეგი მაჩვენებლები:

1. ცოდნა
2. პრობლემის გადაწყვეტის უნარი
3. კლინიკური გადაწყვეტილების მიღების უნარი
4. ჩვევები: ავადმყოფობის ისტორიის შეცნების, ფიზიკური გასინჯვის, პროცედურების ჩატარების და სხვ.,
5. დამოკიდებულება: ავადმყოფთან, კოლეგებთან და სხვ.,
6. თვით-განათლების და რესურსების გამოყენების უნარი

მიღერის პირამიდიდან ჩანს, რომ “იცის” ფუნდამენტური, საწყისი კომპეტენციაა. ამ კომპეტენციის შესაფასებლად ძირითადად გამოიყენება ფაქტებისა და ინფორმაციის მარაგის შესაფასებელი ტესტები, ესე, ზეპირი გამოკითხვა.

მიღერის პირამიდის მეორე ეტაპი “იცის როგორ” კომპეტენციაა. ეს კომპეტენცია პრობლემის გადაწყვეტის უნარს და კლინიკური გადაწყვეტილების

მიღების უნარს გულისხმობს. დასახელებული უნარების შესაფასებლად გამოიყენება კლინიკურ კონტექსტშე აგებული ტესტები, ესე, ზეპირი გამოკითხვა.

მიღერის პირამიდის მესამე ეტაპი “აჩვენებს როგორ” კომპეტენციაა. ეს კომპეტენცია შევე გარკვეული კლინიკური ჩვევების ფლობას გულისხმობს. მისი შეფასება ხდება შესრულებული სამუშაოს შეფასების *in vitro* მეთოდებით, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდით (OSCE), სიმულირებული პაციენტებით.

მიღერის პირამიდის ზედა, უმაღლესი კომპეტენცია არის “აკეთებს”. დასახელებული კომპეტენცია ავადმყოფობის ისტორიის შევსების, ფიზიკური გასინჯვის, პროცედურების ჩატარების და სხვა კლინიკურ ჩვევებთან ერთად, პაციენტთან სწორ დამოკიდებულებასაც გულისხმობს. ეს ჩვევები ფასდება შესრულებული სამუშაოს შეფასების *in vivo* მეთოდებით, სიმულატორებით, ვიდეო-ჩანაწერებით.

ზემოხსენებულიდან ჩანს, რომ პირველ ეტაპზე მნიშვნელობა აქვს ცოდნის შეფასების ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომელიც აფასებს ფაქტების ცოდნას, მოვლენის გააზრების უნარს, ხოლო მომდევნო ეტაპზე კი – ფაქტების ცოდნისა და მოვლენების გაგების უნართან ერთად უნდა შემოწმდეს პრობლემის გადაწყვეტის და კლინიკური გადაწყვეტილების მიღების უნარი, ავადმყოფობის ისტორიის შევსების, ფიზიკური გასინჯვის, პროცედურების ჩატარების ჩვევები, ავადმყოფთან, კოლეგებთან დამოკიდებულების ხასიათი და თვით – განათლების უნარი.

ცალკე უნდა აღინიშნოს პაციენტთან დამოკიდებულების და ურთიერთობის უნარზე, კოლეგებთან ურთიერთობის და გუნდში მუშაობის უნარზე. ამ უნარების ობიექტური შეფასება ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა. მისი სწავლებაც ძნელია და ადამიანთა ფსიქოტიპების ცოდნას და ზოგადად, ფსო- და ჰუმანურიის პრინციპებს ემყარება. “დამოკიდებულებათა” შეფასების მეთოდოლოგიის განვითარება თანამედროვე სამედიცინო განათლების და მისი კვლევის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

რაც შეეხება თვით-განათლების და რესურსების გამოყენების უნარს, ის დაკავშირებულია საინფორმაციო ტექნიკის გამოყენებასთან და გულისხმობს ინტერნეტით სარგებლობის ჩვევებსაც. თვით-განათლების და რესურსების გამოყენების უნარს დიდი მნიშვნელობა აქვს დისტანციური სწავლების განვითარებაში, უწყვეტი სამედიცინო განათლების და მუდმივი პროფესიული დახმარებების პროცესებში.

დამოკიდებულება სწავლებასა და ცოდნის შეზასხვას შორის

სტუდენტის (რეზიდენტის, ექიმის) სწორად ჩატარებული შეფასება სწავლების ხარისხს ასახავს და გარკვეულწილად, მისი შეფასებაც არის.

სწავლება	ცოდნის შეზასხვა
სწავლება ეფექტურია, როცა:	ცოდნის შეფასება ეფექტურია, როცა:
<p>1. წინასწარ ნათლად არის განსაზღვრული სწავლების პროცესის კონკრეტული შედეგები</p> <p>2. სწავლების მეთოდები და მასალა შეესაბამება მისაღწევ შედეგებს</p> <p>3. სწავლების პროცესში გათვალისწინებულია სტუდენტთა/რეზიდენტთა უნარი და მოთხოვნილებები</p> <p>4. სწავლება ეფუძნება ინფორმაციას, რომელიც უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული, სარწმუნო და დამაჯერებელი</p> <p>5. სტუდენტებს/რეზიდენტებს პერიოდულად ეცნობებათ მათი მიღწევების შესახებ</p> <p>6. “ჩამორჩენილ” სტუდენტებს/რეზიდენტებს აქვთ შედეგების გამოსწორების საშუალება</p> <p>7. პერიოდულად ხდება სწავლების ეფექტურობის და კონკრეტული მისაღწევი შედეგების გადახედვა</p>	<p>1. ითვალისწინებს სწავლების პროცესის კონკრეტული შედეგების შეფასებას</p> <p>2. შეფასების ხასიათი და არსი შეესაბამება მისაღწევ შედეგებს</p> <p>3. ცოდნის შეფასების მეთოდი შეესაბამება სტუდენტთა/რეზიდენტთა უნარი და ესადაგება თითოეულ მათგანს</p> <p>4. ფასდება ინფორმაცია, რომელიც უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული, სარწმუნო და დამაჯერებელი</p> <p>5. შეფასების შედეგების მიხედვით მასწავლებელსა და სტუდენტს/რეზიდენტს შორის არის უპუკავშირი</p> <p>6. შეფასების შედეგებით ვლინდება “ჩამორჩენის” მიზეზები და თავისებურებები</p> <p>7. შეფასების შედეგები გვაძლევს სასარგებლო ინფორმაციას სწავლების ამოცანების, მეთოდების და მასალის მიზანშეწონილობის შესახებ</p>

შეფასების მეთოდის შერჩევამდე ნათლად უნდა განისაზღროს, რის შეფასებას ვაპირებთ. ამისათვის საჭიროა მომზადდეს შესაბამისი პროგრამები, სადაც მითითებული იქნება ყველა ის საკითხი, რის შემოწმებასაც ვაპირებთ.

ცოდნის ფორმაციული და სუმაციური შევასება

ცოდნის შეფასება ფორმაციულია, თუ ის სწავლების ყოველდღიური პროცესის შემადგენელი ნაწილია და სუმაციურია, თუ საბოლოო შედეგებს განსაზღვრავს. შეფასების ფორმაციული მეთოდები გამოსაცდელების ერთმანეთთან შედარებას და ტრადიციულ “მონიშვნას” არ უნდა ითვალისწინებდეს. ის თითოეული მათგანის ინდივიდუალური განვითარების ხარისხს უნდა ასახავდეს და მათი “მიღწევებისა” და “ჩავარდნების” ფიქსაციას და ანალიზს ახდენდეს. ჩვენდა სამწუხაროდ, სწავლების მიმდინარე პროცესში შეფასება უპირატესად სუმაციურ ხასიათს ატარებს და ფორმაციული მეთოდები ნაკლებად გამოიყენება. ფორმაციული შეფასების თავისებურებებს შემდგომში დეტალურად შევეხებით.

ცოდნის შევასების მეთოდების პრიტერიუმები

ცოდნის შეფასების მეთოდების შერჩევის დროს სარგებლობენ ისეთი ძირითადი კრიტერიუმებით, როგორიცაა ვალიდურობა და სარწმუნობა.

ვალიდურობა (ცნება “ვალიდური” ნამდვილს, ვარგისიანს, მოქმედს ნიშნავს). ნებისმიერი გამოცდის ჩატარების დროს უპირველესი მნიშვნელობა აქვს მეთოდის ვალიდურობას. ყველაზე მარტივი გაგებით, ვალიდურობა ნიშნავს, რომ მეთოდი ნამდვილად აფასებს იმას, რისი შეფასებისთვისაც ის შეარჩიეს. ტესტები უნდა იყოს ვალიდური – ეს ნიშნავს, რომ მისი შედგენის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს, თუ რისი შემოწმება გვინდა და ნამდვილად შეასრულებს თუ არა ტესტი ამ მიზანს. იმისათვის რომ შეფასების მეთოდის ვალიდურობას მივაღწიოთ, წინასწარ უნდა ვიცოდეთ შესამოწმებელი ცოდნის მოცულობა, რისთვისაც უნდა გაგვაჩნდეს შესაბამისი პროგრამა. ასეთი პროგრამა შედგება სამიზნე ელემენტებისაგან ანუ ე.წ. “სასწავლო ობიექტებისგან”. სადღეისოდ, ასეთ პროგრამებს კომპეტენციების გათვალისწინებით ადგენენ.

სარწმუნობა. მეთოდის შეფასების ეს კრიტერიუმი “სანდოობას”, “დამაჯერებლობას” აღნიშნავს. გამოკითხვის შედეგი დამაჯერებელია, თუ

შეფასების ნებისმიერი სხვა მეთოდით იგივე შედეგი მიიღება. ტესტით გამოკითხვის სარწმუნობის მაჩვენებელი ძალიან მაღალია, ვინაიდან ნებისმიერი გამომცდელი ერთი და იგივე ქულას დაწერს. ამას ვერ ვიტყვით სამწუხაროდ ზეპირ გამოცდაზე, როცა ერთი და იგივე გამოსაცდელმა სხვადასხვა გამომცდელთან სრულიად შესაძლებელია, რომ სხვადასხვა შეფასება დაიმსახუროს.



შენიშვნა: ზეპირი გამოცდა, მიუხედავად იმისა, რომ მას სარწმუნობის დაბალი მაჩვენებელი აქვს და გარკვეული სუბიექტურობითაც ხასიათდება, ზოგ შემთხვევაში ერთადერთი და შეუცვლელია. მისი მეშვეობით საზღვრავებ ისეთ კომპეტენციებს, როგორიცაა აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების თავისებურება, ინტერპრეტაციის უნარი, კომუნიკაციის, აზრის ჩამოყალიბებისა და გადმოცემის უნარი, ინტერვიუს აღების და ანამნეზის შეგროვების უნარი და სხვ. სუბიექტურობის თავიდან ახალილებლად ზეპირ გამოცდას კომისიური წესით აწარმოებენ.

სარწმუნობის მაჩვენებელზე ნებატიურად მოქმედებს ორი ფაქტორი, რომელიც ტესტის შედგენის დროს უნდა გავითვალისწინოთ: ა) საკითხების მცირე რაოდენობა, რისი შეფასებაც ცოდნაზე შეზღუდულ წარმოდგენას იძლევა; ბ) საკითხების ვიწრო სპეციფიურობა, რაც მთელი დისციპლინის ცოდნაზე სწორ წარმოდგენას ვერ გვაძლევს.

შეფასების მეთოდის შერჩევის დროს უნდა გავითვალისწინოთ ისიც, თუ რამდენად განხორციელებადია გამოცდა რესურსების (დაფინანსება, ტექნიკური აღჭურვა, შესაფერისი გარემო და სხვ.) თვალსაზრისით. ობიექტურად სტრუქტურირებადი კლინიკური გამოცდა, OSCE, რომელიც კლინიკური ჩვევების შესაფასებლად გამოიყენება და დასავლეთ სამყაროში ფართე პოპულარობით სარგებლობს, დიდ ხარჯებთან და მაღალ ტექნიკურ შესაძლებლობებთან არის დაკავშირებული. ამ მეთოდით მცირე დროში დიდი რაოდენობით გამოსაცდელების მიღება შეუძლებელია. ამ მიმართებით ტესტური გამოცდა ყველაზე იოლად განსახორციელებელია და განსაკუთრებულ რესურსებს არ საჭიროებს.

³მრითი გამოპითხვის ტესტური ფორმა

კარგა ხანია ცოდნის შეფასებისათვის იხმარება ე.წ. ტესტები. ტესტები დიდი რაოდენობით “ცოდნის მაძიებელთა” ერთდროული და სწრაფი გამოკითხვის ეფექტური საშუალებაა, რომლით მიღებული შედეგებიც რაოდენობრივად ადვილია შესაფასებლად.

ბოლო წლებში წერითი გამოცდის ტესტური ფორმის მიმართ არაერთი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა. ავტორთა ერთი ნაწილი თვლის, რომ

გამოკითხვა უნდა იყოს **აუთენტური**, ე.ი. რეალურ ცხოვრებისეულ ამოცანებთან მაქსიმალურად მიახლოებული. ავტორთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ტესტური წერითი გამოცდა უნდა ჩანაცვლდეს ხოლმე (ნაწილობრივ მაინც) გამოკითხვის ალტერნატიული ფორმებით და ფაქტობრივი მასალის ცოდნის შეფასების გარდა უნდა შეფასდეს სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო ჩვევები, დამოკიდებულებები და ა.შ.

კოვლით, რომ ხშირ შემთხვევაში ტესტებით გამოკითხვის შესაძლებლობა სრულად გამოყენებული არ არის. მისი სწორი აგების შემთხვევაში ფაქტიური ცოდნის გარდა, პრობლემისა და კლინიკური გადაწყვეტილების უნარის შეფასებაც შეიძლება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ტესტით შეფასებას აქვს თავისი “ძლიერი” და “სუსტი” მხარე.

ტესტით შეფასების “ძლიერი” მხარე	ტესტით შეფასების “სუსტი” მხარე
<ul style="list-style-type: none"> ✓ ადგილი და სწრაფია დასაჯამებლად ✓ ნაკლებია სუბიექტურობა ✓ მაღალია სარწმუნოება (როცა კარგად არის აგებული) ✓ შეიძლება ცოდნის დიდი მარაგის ერთჯერადი, სწრაფი შემოწმება ✓ შეიძლება ბევრი მაგალითის მოყვანა ერთი და იგივე მასალიდან ✓ ადგილად იქმნება კითხვების ბანკი ✓ მიზნიდან გამომდინარე, მოქნილია მოდელირებისათვის 	<ul style="list-style-type: none"> ✓ ცოდნის მარაგში ზეწოლა ხდება “სწორია-არასწორია”-ზე ✓ ალბათობის დიდი შესაძლებლობა (ყოველგვარი ცოდნის გარეშე პასუხების 20- 25% შესაძლებელია იყოს სწორი) ✓ ტესტში მოყვანილი სიტუაციები რეალური პრაქტიკისათვის ხშირად არარეალურია (თითქმის ვერასდროს მოგხვდებით სიტუაციაში, როცა ვერსიებად მოყვანილი ოთხი შესაძლებლობიდან უნდა ამოვირჩიოთ ერთი სწორი) ✓ ვერ ვგებულობთ, რა გზით მიდის გამოსაცდელი სწორ პასუხამდე

	<input checked="" type="checkbox"/> ხელს უწყობს სწავლის თავისებური სტილის ჩამოყალიბებას, რაც ემყარება მხოლოდ სწორი პასუხების დამახსოვრებას
--	--

ტესტით შეფასების “ძლიერი” მხარეების გამო, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა მის ობიექტურობას და შედეგების სწრაფად დაჯამებას აქვს, ტესტები ყველანაირი სადიპლომო, სასერტიფიკაციო თუ სალიცენზიო გამოცდების აუცილებელი ნაწილია.

ტესტებით ეფექტურად შეფასების სპალა (4 ქულა შედარებით ეფექტურია)

ცოდნა	პროგლემის ბაზარული განვითარების უნარი	პლინიკური ბაზარული განვითარების უნარი	ჩვევები: ისტორიის შემსრულებელი	ჩვევები: ზოზიპური ბასინების	ჩვევები: პროცედურების ჩატარების, შრთისართობის, თვით-ბანათლების და რესურსების გამოყენების
4	2	2	2	2	0

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ტესტური გამოკითხვა მაქსიმალურად ეფექტურია “ცოდნის”, როგორც ინფორმაციული მარაგის, შესაფასებლად. თუმცა, მისი გამოყენება ხდება პრობლემის გააზრების, კლინიკური გადაწყვეტილების უნარისა და გარკვეული ჩვევების შესაფასებლადაც.

ტესტის დიზაინი და მისი შედგენის ჭრები “პითხგა მრავლობითი არჩევანით” (MCQ)

ტესტური კითხვა, ანუ ტესტი, როგორც მას შემოკლებით უწოდებენ, შედგება მმართველი ფრაზის, დერძისა და ვარიანტებისაგან, ანუ პასუხებისაგან (ი. მაგალითი).

“კითხვა მრავლობითი არჩევანით” არის ტესტი, რომლის ღერძი შედგება რამდენიმე ალტერნატიული პასუხისაგან, რომელთა შორის:

- მხოლოდ ერთი პასუხია სწორი (ან ყველაზე სწორი).
- რამდენიმე პასუხია სწორი

გარდა ამისა, არსებობს ე.წ. “განვრცობილი შესატყვისობის კითხვებიც”, რომლებსაც, ასევე, “მრავლობითი არჩევანის MCQ-ს” მიაკუთვნებენ. ამ ტიპის ტესტები სადღეისოდ ფართედ გამოიყენება კლინიკური სწავლების ნაწილში გადაწყვეტილების მიღებისა და დიაგნოზის დასმის უნარის შესაფასებლად.

ტესტი ერთი სტორი პასუხით

“ტესტი ერთი სტორი (ყველაზე სწორი) პასუხით” შედგება მმართველი ფრაზისა და დერძისგან, რომელიც თავის მხრივ, ხუთი ალტერნატიული პასუხისაგან, ვარიანტისაგან, შედგება. ხუთი პასუხიდან, ჩვეულებრივ, ერთია სწორი, ხოლო დანარჩენი ცრუა, მათ დისტრაქტორები (“distraction” – დაბნევა, ყურადღების გაფანტვა) ეწოდებათ.

მაგალითი.

მმართველი
ფრაზა

პაციენტს, რომელსაც აქვს პოსტეპატიტური ციროზი,
აღენიშნება ღვიძლის ზომების სწრაფი ზრდა ღვიძლის
ფუნქციების დაქვეითებასთან ერთად. რომელი
მაჩვენებლის ცვლილებაა ყველაზე მეტად
მოსალოდნებლი სისხლის ლაბორატორიული ანალიზით?

დერძი

- A. α_1 - ანტიტრიაპინი
- B. კარცინოემბრიონული ანტიგენი
- C. ქორიონული გონადოტროპინი
- D. α-ვეტოპროტეინი*
- E. გასტრინი

სწორი

ტესტის “დერძის” აგების დროს უნდა გავითვალისწინოთ:

- მნიშვნელობა მივცეთ შინაარსს და არა ტრიგიალური ფაქტების დასახელებას.
- უფრო მნიშვნელოვანია ცოდნის გამოყენების უნარი, ვიდრე ცალკეული ფაქტების დამასხვრების უნარი (იხ. ქვემოთ ბლუმის ტაქსონომიის ამსახველი ცხრილი).
- ტესტის დერძი შეიძლება იყოს გრძელი, ანუ შედგებოდეს 5-ზე მეტი ვარიანტისგან, მაგრამ ვარიანტები (პასუხები) უნდა იყოს მოკლე და რაც შეიძლება გასაგებად ფორმულირებული.
- კლინიკური შემთხვევის აღწერის დროს უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები (რამდენიმე მაინც): პაციენტის ასაკი და

სქესი; დიაგნოზის დასმისა და მკურნალობის ადგილი (მაგ., ამბულატორია, საავადმყოფო, რეანიმაციული განყოფილება და სხვ); პაციენტის ჩივილები და მათი ხანგრძლიობა; პაციენტის პირადი/ოჯახური მდგომარეობა; ინსტრუმენტული/ლაბორატორიული კვლევის მონაცემები; დიაგნოსტიკური კვლევის +/- შედეგები; ინფორმაცია ადრე ჩატარებული მკურნალობის შესახებ და შემდგომში განვითარებული მოვლენების შესახებ.

- მოვერიდოთ ჭარბ და უსარგებლო ინფორმაციას.
- მოვერიდოთ “მზაკვრულ” და ზედმეტად გადატვირთულ კითხვებს.

ტესტის “მმართველი ფრაზის” აგების დროს უნდა გავითვალისწინოთ:

- სადაც ეს შესაძლებელია, ჩამოვაყალიბოთ პირდაპირი კითხვა, ვიდრე არასრული მტკიცებულება.
- მოვერიდოთ ნეგატიურად აგებულ მითითებებს (მაგ., ისეთი სიტყვების ხმარებას, როგორიცაა “გარდა”, “არ”). თუ იძულებული ხართ გამოიყენოთ ნეგატიური ფრაზები, იხმარეთ რაც შეიძლება მოკლე (სჯობს ერთსიტყვიანი) მათგანი.
- პასუხის გაცემა შესაძლებელი უნდა იყოს მმართველი ფრაზის მიხედვით, ვარიანტების გადახედვის გარეშეც.

ტესტის “ვარიანტების” აგების დროს უნდა გავითვალისწინოთ:

- დაგწეროთ ისეთი ვარიანტები, რომლებიც გრამატიკულად ერთნაირად არის ნაწარმოები, ლოგიკურად შეთავსებადია და პომოგენური.
- ვარიანტები უნდა იყოს ურთიერთგამომრიცხავი.
- დისტრაქტორები უნდა იყოს დამაჯერებელი, უცოდინარი გამოსაცდელისათვის “მიმზიდველი”.
- დისტრაქტორი დაახლოებით იგივე სიგრძის უნდა იყოს, როგორიც სწორი ვარიანტი.
- პასუხებში უნდა მოვერიდოთ ისეთი აბსოლუტების გამოყენებას, როგორიცაა “ყოველთვის”, “არასოდეს”, “ყველა” და ისეთ ბუნდოვან სიტყვებს, როგორიცაა “ჩვეულებრივ” და “ხშირად”.
- უნდა მოვერიდოთ ვარიანტებს “არცერთი ზემოთქმული” და “ყველა ზემოთქმული”.

- ციფრების შემცველი გარიანტები უნდა იყოს ლოგიკურად თანმიმდევრული.
- გარიანტების ჩამოთვლა უნდა ხდებოდეს ლოგიკური ან ანბანური თანმიმდევრობით.
- ტესტს, შედგენის შემდეგ, კიდევ ერთხელ გადაავლეთ თვალი და დარწმუნდით, რომ ნამდვილად ერთი პასუხია სწორი ან ყველაზე სწორი.

ზოგიერთი მიზანით გამოვიყენოთ ფსტების შედგენის დროს
მიზანით გამოვიყენოთ ფსტების შედგენის (ცოდნის, უნარის) შესახასებლად
ბლუზის ტაქსონომია

ცოდნა	გააზრება	გამოყენება	ანალიზი	სინთეზი	შევასება
განმარტებული გარდაქმენი	გამოიყენება	გაანალიზება	დააღაბებები	შეაფასება	დააღაბებები
მონიშენებული აღწერები	გამოითვალიერება	შეაფასება	დააღაბებები	იმსჯელება	იმსჯელება
ჩამოთვალები	იმსჯელება	აჩვენება	დაითვალიერება	შეაგროვება	შეამოწმება
დაასახელება	გაარჩიება	აამუშავება	კატეგორიების დაყავი	შეადგინება	შეარჩიება
გაიხსენება	შეაჯამება	გადაიტანება	კლასიფიკაცია გააკეთება	ააგებება	შეადარება
გამოიცანის ახსენი	მაგალითი მოიყვანება	შეადარება	შექმნი	გააკრიტიკება	გადაწყვეტილება
გაიმუორება	გამოხატვები	ინტერპრეტაცია მოახდინება	დაუპირისპირება	გააფორმება	გადაწყვეტილება მიიღება
ჩამოწერები	განასხვავება	გადააკეთება	გააკრიტიკება	დიაგნოზი დაუსვები	შეაჯამება
დაალაგება	მოათავსება	იმოქმედება	დასკვნა გამოიტანება	ჩამოაყალიბება განსაზღვრება	მნიშვნელობა განსაზღვრება
	გამოიცანის შეასრულება	დიაგრამა შეადგინება	აწარმოება	დაადგინება	გადასტურება
	დაწერება	აწარმოება	დიფერენციაცია მოახდინება	ჰიპოთეზა გამოთქვი	დაადასტურება
	ჩამოაყალიბება	იგარაუდება	განასხვავება	მოიფიქრება	გაზომება
	მოყენები	მოამზადება	გამოსცადება	მართება	თანაფარდობა განსაზღვრება
	გადააკეთება	დაგეგმება	შეამოწმება	შეცვალება	გადახედება
	გადათარგმნება	წარმოიდგინება	ძირითადი პრინციპები ჩამოაყალიბება	ორგანიზაცია გაუსებება	დააჯამება
		მოიხმარება	კითხვები დასვი	დაგეგმება	შეარჩიება
			დაუკავშირება	მოამზადება	
			გადაწყვეტება	აზრი გამოთქვი	
			სცადება	შეაჯამება	

ტქისტის შედგენა ცალკეულ პლინიბურ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე

დაავადებათა პრევენცია

დაავადებათა პრევენციასთან დაკავშირებული კითხვები დაკავშირებული უნდა იყოს რისკ ფაქტორების შეფასებასთან, ეპიდემიოლოგიური მონაცემების გამოყენებასთან, პროფილაქტიკური ღონისძიებების დაგეგმვასთან. ამ ტიპის კითხვები ჩვეულებრივ იყოფა შემდეგ კატეგორიებად: 1) სკრინინგ-ტესტები; 2) კონსტრუქციული ჩარევა; 3) იმუნიზაცია/მგზავრობასთან დაკავშირებული საკითხები; 4) გადაუდებელი ჩარევა.

ჩვეულებრივ, ასეთი ტესტი იწყება პაციენტის კლინიკური მდგომარეობის აღწერით. ავადმყოფობის ისტორიისა და ფიზიკური გასინჯვით მიღებული მონაცემების გარდა, ტესტი შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას ჩატარებულ იმუნიზაციაზე, რისკ ფაქტორებზე და ოჯახის წევრებზე. ინფორმაცია ზოგადად, პოპულაციის შესახებ შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს და შესაბამისად, ტესტს დაემატოს, მაგრამ საკითხი კონკრეტულად უნდა იყოს ფოკუსირებული ინდივიდუალურ პაციენტზე. ტესტი არ უნდა შედგებოდეს იზოლირებული ცალკეული ფაქტებისაგან. მაგალითად, მოერიდეთ შეკითხვას სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზის შესახებ ამა თუ იმ სუბპოპულაციაში; ამის ნაცვლად, ეცადეთ ისეთი კითხვა დასვათ, რითაც ცოდნის გამოყენებაზე მოხდება ფოკუსირება.

გთავაზობთ ზემოდასახელებული კრიტერიუმების შესაბამისი მმართველი ფრაზის მაგალითებს:

რომელი იმუნიზაციის ჩატარებაა საჭირო ამ პერიოდში?

რომელია ყველაზე შესაფერისი სკრინინგ-ტესტი?

რომელი გამოკვლევა მოგვცემს პროგნოზის საშუალებას?

რომელია ყველაზე შესაფერისი პროფილაქტიკური ღონისძიება?

რომელ პირობებში დგება პაციენტი ყველაზე დიდი რისკის ქვეშ?

რომელი	შემდგომი	ღონისძიებაა	ყველაზე	შესაფერისი
დაავადების/სიკვდილის/უუნარობის თავიდან ასაცილებლად?				

რა რეკომენდაციას მისცემდით ინგალიფობის თავიდან ასაცილებლად დასახელებული დაზიანების/მდგომარეობის/გართულების დროს?

რა სახის წინასწარი მკურნალობა მოახდენს პაციენტის დაცვას დასახელებული მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად?

რა ღონისძიებას დაუმატებდით ამ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად?

დაავადებათა განვითარების მექანიზმები

დაავადებათა განვითარების მექანიზმებთან დაკავშირებულმა კითხვებმა უნდა შეაფასოს პათოფიზიოლოგიური მექანიზმების ცოდნა, მათ შორის, ეტიოლოგია, პათოგენეზი, ავადმყოფობის განვითარების ისტორია, კლინიკური მიმღინარეობა, გართულებათა მექანიზმი, დაავადების სიმძიმე, სამკურნალო ღონისძიებების წინასწარ გათვალისწინებული ოუ გაუთვალისწინებელი ეფექტები. ტესტები აგებული უნდა იყოს კლინიკური კონტექსტით.

ზოგადად, მექანიზმებთან დაკავშირებული ტესტი დაიწყეთ კლინიკური სურათის აღწერით: სიმპტომებით, ჩივილებით, ლაბორატორიული მონაცემების მითითებით, შემდეგ დასვით ერთ-ერთი ასეთი კითხვა:

რომ აიხსნება მიღებული დაკვირვების/ანალიზის შედეგები?

ხად განვითარდება დაზიანება?

რომელი პათოგენური აგენტი გამოიწვევდა დასახელებულ მოვლენებს?

რომელი მაჩვენებელი გაიზრდება/დაქვეითდება?

რა ცვლილებები გამოვლინდებოდა ბიოფსიით?

დიაგნოსტიკა

დიაგნოსტიკასთან დაკავშირებით შედგენილმა ტესტმა გამოსაცდელში უნდა გამოავლინოს ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევებით მიღებული მაჩვენებლების, ავადმყოფის ჩივილების ინტერპრეტაციის და დიფერენციალური დიაგნოსტიკის უნარი. ამ ტიპის კითხვებით ვლინდება მიღებული ცოდნის ინტეგრაციის უნარი.

ჩვეულებრივ, ასეთი ტესტი იწყება პაციენტის მდგომარეობის აღწერით (მიეთითება ასაკი, სქესი, სიმპტომები, ნიშნები, დაავადების ხანგრძლივობა, გარეგანი დათვალიერებით, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გასინჯვით მიღებული მაჩვენებლები და სხვ.) და მთავრდება შეკითხვით:

რომელია ყველაზე შესაფერისი დიაგნოზი?

რა დამატებითი ლონისძიებაა საჭირო დიაგნოზისათვის?

რა ადასტურებს დასახელებულ დიაგნოზე?

პაციენტის მართვა

პაციენტის მართვასთან დაკავშირებული ტესტი აფასებს მწვავე და ქრონიკული შემთხვევების მართვის პრინციპებს ამბულატორიულ და სტაციონარულ პირობებში. ამ ტიპის შეკითხვებით შეიძლება შეფასდეს

ფარმაკოთერაპიული გადაწყვეტილების უნარი, მკურნალობის სხვადასხვა მეთოდების ერთდროულად გამოყენების უნარი და სხვ. ტესტის ბოლოს, ჩვეულებრივ, დაისმის შეკითხვა:

რომელი შემდგომი გზით უნდა წარიმართოს მკურნალობა?

რა მკურნალობა იქნება ყველაზე ეფექტური?

რომელ მკურნალობას დაუნიშნავდით?

რა დახმარებაა საჭირო პირველ რიგში?

ტესტ-კიტებარების წარმოდგენის ვორმატი და მათი კატეგორიზაცია სცეროების მიხედვით

- ტესტს თან უნდა ახლდეს მოკლე განმარტება სწორი პასუხის თაობაზე.
- ტესტების კატეგორიზაცია უნდა მოხდეს ცოდნისა და კლინიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ცალკეული სფეროების მიხედვით. ასეთი რეკომენდებული სფეროებია:
 - ფაქტების და ინფორმაციის ცოდნა;
 - დაავადებათა ეპიდემიოლოგია და პრევენცია;
 - დაავადებათა განვითარების მექანიზმები;
 - დიაგნოსტიკა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
 - პაციენტის მართვა და მკურნალობა

რეკომენდაციები ლიტერატურა/წყაროები ტესტების შემუშავებისათვის

- ტესტების შედგენისას ავტორმა (ავტორთა ჯგუფმა) უნდა იხელმძღვანელოს შესაბამის სპეციალობაში არსებული უახლესი ქართული სახელმძღვანელოებით და ტესტ-კრებულებით, რომელთა ჩამონათვალი დამტკიცებული უნდა იყოს აკადემიური საბჭოს მიერ და თან უნდა ახლდეს წარმოდგენილ ტესტ-კიოთხვარებს.
- უცხოური წყაროების თარგმნის გზით მიღებული ტესტების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მათი პილოტირების შემდეგ.

ტქისტური გამოცდის საგარაუდო ხარგეზები და მათი პრევენცია

ტქისტების გალიდურობის ანუ გარგისიანობის თვალსაზრისით ტქისტურ გამოცდას შეიძლება ძირითადად ორი ხარვეზი ჰქონდეს: ა)კითხვების რაოდენობა იყოს არასაკმარისი ამა თუ იმ სფეროში ცოდნის შესაფასებლად; და ბ) ტქისტები იყოს დაბალი ხარისხის, არასწორად შედგენილი და გაუმართავი.

ტქისტების ხარისხი. დაბალი ხარისხისაა ტქისტი, თუ ის ძნელად ან საერთოდ ვერ იკითხება; შეიცავს გურკვეველ ან მოძველებულ ფაქტებს, ინფორმაციას და სტატისტიკურ მონაცემებს; შედგენილია ტენდენციურად, არასამართლიანად, “ეშმაკურად და მზაკვრულად”; ძალიან ადვილია; ძალიან რთულია; შედგენილია არადამაჯერებლად, ვარიანტების არასაკმარისი დიფერენციაციით.

ტქისტ-კითხვარების	ხარისხზე	პასუხისმგებელია
დეპარტამენტის/მიმართულების ხელმძღვანელი.	მან უნდა უზრუნველყოს ტქისტების წინასწარი პილოტირება და ხარისხის დადგენა. იგი ვალიდებულია შექმნას მაღალი ვალიდურობის ტქისტ-ბანკი, საიდანაც მოხდება საგამოცდო ვარიანტების შერჩევა.	

ტქისტების განახლების დროს პირველ რიგში გამოიცვლება ძალიან ადვილი და ძალიან ძნელი ტქისტები.

“ძალიან ადვილი” შეიძლება ეწოდოს ტქისტს, რომელზედაც გამოსაცდელთა 90%-ზე მეტი პასუხობს. მაღალი პოცენტი შეიძლება საგამოცდო ტქისტების წინასწარ გამჭდავნების შედეგიც იყოს, რაც კიდევ ერთხელ ასაბუთებს, რომ ამ ტიპის ტქისტები ამოღებული უნდა იქნეს.

“ძალიან ძნელი” შეიძლება ეწოდოს ტქისტს, რომელზედაც გამოსაცდელთა 10%-ზე ნაკლები პასუხობს. 10% ის მაჩვენებელია, რომელიც შეიძლება გამოსაცდელთა გარკვეულმა რაოდენობამ ინტუიციით მიაღწიოს, ყოველგვარი ცოდნის გარეშე. ამ ტიპის ტქისტებში შეიძლება მოხვდეს ყველა არასწორად შედგენილი, უხარისხო და გაუმართავი ტქისტიც, რაც კიდევ ერთხელ ასაბუთებს, რომ ამ ტიპის ტქისტებიც ამოღებული უნდა იქნეს.

დასკვნა

ცოდნის სრულყოფილი შეფასებისათვის გამოკითხვის მრავალი სხვადასხვა საშუალება არსებობს. მათი შერჩევის დროს უნდა გავითვალისწიოთ:

1. შეფასების მიზანი წინასწარ ნათლად უნდა იყოს გამოკვეთილი.
2. გამოსაცდელი, გამომცდელი და მთელი “გარე სამყარო” დარწმუნებული უნდა იყოს, რომ გამოცდისათვის ობიექტური, სარწმუნო და ვარგისიანი მეთოდია შერჩეული, რომელიც გამოსაცდელს ნამდვილად მისცემს ცოდნის გამოვლენის საშუალებას.
3. გამოცდა უნდა იყოს გამჭვირვალე, ხოლო შეფასების მეთოდი და კრიტერიუმები –საჯარო.
4. გამოცდის შედეგების დაჯამების შემდეგ, უნდა გაკეთდეს ანალიზი, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს გამოსაცდელისთვის და ყველა დაინტერესებული პირისათვის.